

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რიგი საკითხების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მოსაზრებები

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კანონის ნორმის განმარტება სცილდება საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციის ფარგლებს. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულ ხშირად დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ საქართველოს ეროვნული ბანკის მოსაზრებას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული მოსაზრებები ვერ იქნება განხილული თქვენს მიერ დაფიქსირებული ქმედებების/ტრანზაქციების ლეგალურ/კანონისმიერ საფუძვლად.

მუხლი 625. გამსესხებლის ვალდებულება და პროცენტი სესხისათვის

1. მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი.

1. შეკითხვა:

მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის¹ მიხედვით ფინანსური ორგანიზაციებისათვის დადგენილია სასესხო ხელშეკრულებაში მისათითებელი სავალდებულო ინფორმაცია, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად მოიცავს ინფორმაციას სესხის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებით. იპოთეკით უზრუნველყოფილ სესხებში მხოლოდ ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი უნდა მივუთითოთ?

პასუხი:

მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით საპროცენტო განაკვეთი განიმარტება, როგორც ფიქსირებული ან ინდექსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი, შესაბამისად, იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს როგორც წლიური, ისე ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი.

2. შეკითხვა:

¹ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“ აქ და შემდეგაც გულისხმობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის #151/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“

ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი თავსართშიც უნდა მიეთითოს თუ მხოლოდ ხელშეკრულებაში?

პასუხი:

ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი უნდა მიეთითოს მხოლოდ ხელშეკრულებაში.

3. შეკითხვა:

თუ პროგრამულ უზრუნველყოფაში სესხის საპროცენტო განაკვეთი წლიურად იანგარიშება, ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი როგორ უნდა დაანგარიშდეს? ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში როგორ უნდა მოხდეს დაანგარიშება?

პასუხი:

ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშება უნდა მოხდეს შესაბამისი პროპორციით. ამასთან, ინდექსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში გათვლებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების დადების მომენტში მოქმედი ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობა.

4. შეკითხვა:

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობაც ყოველთვიურად უნდა დავიანგარიშოთ?

პასუხი:

მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ყოველთვიურ მნიშვნელობას არ ცნობს, ის ითვლება მხოლოდ წლიური განაკვეთით.

2. მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

5. შეკითხვა:

სად შეიძლება ვნახოთ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშების წესები?

პასუხი:

აღნიშნული წესები აღწერილია ქვემოთ მოცემულ ნორმატიულ დოკუმენტებში:

- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის #151/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500606>

- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს #194/04 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების, სესხის მიმდინარე ნარჩენი მირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების წესი“ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4312325>

6. შეკითხვა:

უნდა იქნეს თუ არა გათვალისწინებული ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში საბანკო ანგარიშის გახსნის, ანგარიშიდან თანხის განაღდებას, ასევე, თანხის დაფარვის (მათ შორის, სწრაფი გადახდის აპარატით თანხის შეტანისას) საკომისიოები და რა პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს გამსესხებელმა ამ საკომისიოებს დათვლისას?

პასუხი:

თუ გამსესხებლის მიერ მსესხებელზე სესხის გაცემა ხდება მხოლოდ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით და სხვა ალტერნატივა კანონმდებლობის ან გამსესხებლის მოთხოვნების მიხედვით მსესხებელს სესხის მისაღებად არ გააჩნია, საბანკო მომსახურების ტარიფები უნდა განხილულ იქნეს სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში გასათვალისწინებელ ეფექტურ ხარჯებში.

ამასთან, ანგარიშის გახსნის და მისი პერიოდული მომსახურების ხარჯი ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში გასათვალისწინებელ ხარჯად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის გახსნა მოხდა მხოლოდ აღნიშნული სესხის მისაღებად და ამ ანგარიშით სესხის აღებამდეც არ სარგებლობდა.

რაც შეეხება, ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში გასათვალისწინებელი ხარჯის მოცულობას, იმ შემთხვევაში თუ ზუსტი ხარჯის ოდენობა გამსესხებლისთვის უცნობია, ის უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასების შესაბამისად და გათვალისწინებულ იქნეს ყველაზე იაფი ალტერნატივა.

7. შეკითხვა:

ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებასა და თავსართში მისათითებელია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ვალუტის კურსის წელიწადში 15%-იანი ცვლილების შემთხვევაში. იქნება თუ არა დარღვევა, თუ ამ მაგალითის მიხედვით დათვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გადააჭარბებს 50%-ს?

პასუხი:

სესხის ხელშეკრულებაში (მათ შორის, თავსართში) შეკითხვაში ნახსენები წესების მიხედვით მაგალითის/დაშვების გამოყენების მიზანია მსესხებელმა შეაფასოს სავალუტო რისკი, თუ მას შემოსავლები ეროვნულ ვალუტაში აქვს, სესხს კი იღებს უცხოურ ვალუტაში. აღნიშნულ მაგალითს აქვს მხოლოდ დაშვების სახე და გამოიყენება საილუსტრაციოდ. ხოლო იმავე წესების შესაბამისად, სავალუტო ხარჯი არ არის სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში

გასათვალისწინებელი ხარჯი. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი იქნება მხოლოდ მაგალითის აღწერა და არა სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, შესაბამისად, ამგვარი ჩანაწერი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს არ დაარღვევს.

3. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში მითითებული, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების (გარდა სანოტარო წესით იპოთეკის დამოწმებასთან და იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა) ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2.5-მაგი ოდენობის ერთ მეთორმეტედს, რომელიც ძალაშია ყოველი წლის 1 მარტიდან.

3¹. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა ვრცელდება ყველა სახის სესხზე, აგრეთვე ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის წლიურ ოდენობაზე.

4. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული პირობები არ ვრცელდება კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის მიერ დადებულ სესხის ხელშეკრულებებზე.

8. შეკითხვა:

სად შეიძლება იქნეს მოძიებული ინფორმაცია კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე?

პასუხი:

აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში (იხ. ბმული <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>) ცხრილში - L3.22. გასათვალისწინებელია სვეტში სახელწოდებით „საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, სულ“ მონაცემები.

მაგალითი #1: დავიანგარიშოთ 2018 წლის 5 სექტემბერს გაცემული იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური შესაძლო მნიშვნელობა.

ზემოაღნიშნული ცხრილიდან უნდა იქნეს აღებული მონაცემები 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის დეკემბრის ჩათვლით (იხ. ამონარიდი ქვემოთ მოცემულ სურათზე) და დაანგარიშდეს მათი საშუალო არითმეტიკული. მიღებული მნიშვნელობა 13,1%-ია. შესაბამისად, ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის ლიმიტი დაიანგარიშება როგორც $13,1\% * 2,5 / 12 = 2,73\%$.

წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე						
	საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, სულ	მათ შორის:				ოქ
		ეროვნული ვალუტით	აქედან:		უცხოური ვალუტით	
			იურიდიულ პირებზე	ფიზიკურ პირებზე*		
აგვ-16	14.4	19.5	12.2	24.7	9.7	
სექ-16	13.9	17.2	11.5	24.1	9.7	
ოქტ-16	13.8	17.5	10.6	24.1	9.2	
ნოემ-16	13.0	18.1	10.9	23.9	8.8	
დეკ-16	12.7	18.2	11.5	23.6	8.7	
იან-17	13.6	18.2	11.6	23.4	8.8	
თებ-17	13.0	17.1	11.7	20.3	8.5	
მარ-17	12.7	15.6	11.4	18.5	8.5	
აპრ-17	13.1	16.5	11.7	20.3	8.5	
მაის-17	13.9	17.5	11.6	20.9	8.6	
ივნ-17	12.9	16.6	11.6	20.5	8.3	
ივლ-17	12.8	16.1	11.5	20.6	8.0	
აგვ-17	13.7	17.3	11.6	20.7	8.4	
სექ-17	13.3	16.1	11.0	20.6	8.3	
ოქტ-17	13.1	16.7	11.1	20.8	8.1	
ნოემ-17	12.8	16.3	10.8	21.4	8.0	
დეკ-17	12.6	16.8	11.4	21.2	7.9	
იან-18	13.7	17.2	11.3	22.1	8.2	
თებ-18	14.0	17.3	11.3	21.7	8.2	
მარ-18	13.1	17.1	11.4	21.3	8.7	
აპრ-18	12.5	15.9	10.9	20.1	8.0	

მაგალითი #2: 2018 წლის 4 სექტემბერს მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ გასცა იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხი 15,000 ლარის ოდენობით, 6 თვის ვადით, თვეში 2%-ად, ყოველი თვის 4 რიცხვში მსესხებელმა უნდა გადაიხადოს სესხის პროცენტი, ხოლო ვადის ბოლოს პროცენტის თანხასთან ერთად სრულად უნდა დაფაროს სესხიც. სესხის გაცემის საკომისიო 0,5%-ია, რაც 75 ლარს შეადგენს, ხოლო საბანკო ანგარიშიდან თანხის განაღდებას საკომისიო 0,2% ანუ 30 ლარია. მსესხებელს უწევს სანოტარო წესით იპოთეკის დამოწმების ხარჯის გადახდა 102,50 ლარის ოდენობით, ასევე, იპოთეკის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯი 51 ლარის ოდენობით. შესამოწმებელია შეესაბამება თუ არა ასეთი სესხის გაცემა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს?

- ✓ **სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშება** - სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, ყოველთვიური პროცენტის თანხა 300 ლარია, თუმცა პირველ თვეს აღნიშნულ თანხასთან ერთად უწევს გაცემის და განაღდებას საკომისიოების გადახდა. შესაბამისად, ყველაზე დიდი ხარჯის გაწევა მსესხებელს უწევს პირველ თვეს. თუ ამ ხარჯს სესხის ძირითადი თანხის მიმართ პროცენტის სახით ვიანგარიშებთ, მივიღებთ $(300+75+30)/15,000=2,7\%$ -ია. #1 მაგალითის მიხედვით დაანგარიშებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის ლიმიტი 2018 წლის 4 სექტემბრისთვის 2,73%-ია.
- ✓ **სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშება** - თუ საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კალკულატორში შეყვანილ იქნება (იხ. ბმული - <https://www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=512>) სესხის გაცემის, სესხზე გათვალისწინებული გადასახდელების და დაფარვის თარიღების მიხედვით შესაბამისი თანხები, სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაცემულ სესხზე გამოდის 31,82% (იხ. სურათი ქვემოთ)

სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კალკულატორი

თარიღი	სესხის მიღება	თანხის გადახდა
2018-09-04	15000	
2018-09-04		75 -
2018-09-04		30 -
2018-09-04		102.50 -
2018-09-04		51 -
2018-10-04		300 -
2018-11-04		300 -
2018-12-04		300 -
2019-01-04		300 -
2019-02-04		300 -
2019-03-04		300 -
2019-03-04		15000 -
ესგ: 31.82%		
სტრიქონის დამატება		გამოთვლა

- ✓ მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება სსკ-ის 625-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ლიმიტს, ხოლო სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება სსკ-ის 625-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ლიმიტს. შესაბამისად, ამგვარი პარამეტრებით სესხის გაცემა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული 0.27 პროცენტის მიზნებისათვის, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ/დაკისრებულ პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება სესხის ვადის გადაცილებისას (ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე) პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად არაუმეტეს 20 ლარის (ან უცხოური ვალუტით მისი ეკვივალენტის), აგრეთვე ამ მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად სესხის რეფინანსირების ან სესხის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დაკისრება. სესხის ვადის გადაცილებისას ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე ნებისმიერი საკომისიოს,

ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ისეთი ხარჯების, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. ამ ნაწილის მიზნებისათვის, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაში არ გაითვალისწინება სესხის ვადის გადაცილებისას სესხის გადავადების, სესხის რეფინანსირების ან/და სესხის რესტრუქტურირების შემთხვევაში სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ნაზარდი, ხოლო სესხის ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრად არ მიიჩნევა ვადის გადაცილების აღმოფხვრა სესხის რესტრუქტურირების, სესხის რეფინანსირების (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ გამსესხებელთან ხელშეკრულების დადებით) ან/და გადავადების გზით. ამ ნაწილის მიზნებისათვის, სესხის ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრად სესხის რესტრუქტურირება, სესხის რეფინანსირება (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ გამსესხებელთან ხელშეკრულების დადებით) და გადავადება მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელმა სრულად გადაიხადა ვადის გადაცილებისას დაკისრებული პირგასამტეხლოს, ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის, საკომისიოს და ფინანსური ხარჯის შესაბამისი ფულადი სახსრები.

9. შეკითხვა:

თითოეული დღისთვის დარიცხული 0,27%-იანი ლიმიტი რეალურად ჯარიმებზე/პირგასამტეხლოზე გამოსაყენებელ ყოველდღიურ ლიმიტს გულისხმობს?

პასუხი:

აღნიშნული ხარჯის შინაარსი გულისხმობს ჯამურად ყველა იმ ფინანსური ხარჯის მაქსიმალურ ოდენობას, რომელიც შეიძლება დაეკისროს სესხს ყოველდღიურად ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში გათვალისწინებული ხარჯების გარდა. ეს შესაძლოა იყოს როგორც პირგასამტეხლოები, ასევე, სხვა ისეთი ხარჯიც, რომელიც შინაარსობრივად არაა ჯარიმა/პირგასამტეხლო, თუმცა სესხთან დაკავშირებული ხარჯია, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში არ ყოფილა გათვალისწინებული. მაგალითად, სესხის გაცემისას გამსესხებელმა მსესხებელს შესთავაზა სესხის მიღების 2 ალტერნატივა, (1) სესხის აღება გამსესხებლის სალაროდან და (2) სესხის ჩარიცხვა საბანკო ანგარიშზე. ამასთან, ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში, მოქმედი წესების მიხედვით, გაითვალისწინა შეთავაზებული ალტერნატივებიდან შედარებით იაფი, მე-2 ალტერნატივა. მსესხებელმა ისარგებლა 1-ელი ალტერნატივით, რისთვისაც მას დაეკისრა მომსახურების დამატებითი ხარჯები. აღნიშნული დამატებითი ხარჯების დღიური მოცულობა 0,27%-იანი ლიმიტის ფარგლებში გასათვალისწინებელი ხარჯია.

10. შეკითხვა:

თუ სესხზე ვადაგადაცილება დაფიქსირდა, შესაძლებელია გამსესხებელმა პირგასამტეხლოს სახით ერთდროულად გამოიყენოს როგორც 20 ლარი, ისე ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%?

პასუხი:

დიახ, შესაძლებელია.

11. შეკითხვა:

თუ სესხზე ვადაგადაცილება დაფიქსირდა, შესაძლებელია გამსესხებელმა პირგასამტეხლოს სახით ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-ის გარდა, 20-ლარი დააკისროს მსესხებელს თანხა ნაწილ-ნაწილ, მაგალითად პირველ და მეორე დღეს დააკისროს 10-10 ლარი?

პასუხი:

არ შეიძლება, სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-იან ლიმიტს ზემოთ დასაშვებია მხოლოდ ერთჯერადი ხარჯი არაუმეტეს 20 ლარისა.

12. შეკითხვა:

შესაძლებელია, ე.წ. ერთჯერადი ჯარიმა, არაუმეტეს 20 ლარის ოდენობით, განმეორებით იქნეს გამოყენებული, თუ ერთხელ ვადაგადაცილება აღმოიფხვრა და შემდეგ ის კვლავ დაფიქსირდა?

პასუხი:

დიახ, შესაძლებელია.

13. შეკითხვა:

შესაძლებელია, ე.წ. ერთჯერადი ჯარიმა, არაუმეტეს 20 ლარის ოდენობით, გამოყენებულ იქნეს წინსწრებით დაფარვის საკომისიოსთან ერთად.

პასუხი:

დიახ, შესაძლებელია იმ შემთხვევაში როცა ვადაგადაცილების შემდეგ მოხდა სესხის წინსწრებით დაფარვა.

14. შეკითხვა:

რას ნიშნავს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხა, საიდანაც იანგარიშება ყოველდღიური 0.27%-იანი ლიმიტი?

პასუხი:

ყოველი დღისათვის მაქსიმალური ხარჯების ოდენობისათვის გაითვალისწინება იმავე თარიღში არსებული სესხის ძირითადი თანხის ნაშთი.

მაგალითი #1: 2018 წლის 5 სექტემბერს გამსესხებელმა გასცა სესხის თანხა 1,000 ლარის ოდენობით წლიურ 15%-ში, სესხის ვადა 12 თვე. სესხის დაფარვა უნდა განხორციელდეს ქვემოთ მოცემულ სურათზე ნაჩვენები გრაფიკის შესაბამისად, თვეში 90,26 ლარის ოდენობით. მსესხებელი 5 დეკემბრამდე სესხს ფარავდა გრაფიკის შესაბამისად, თუმცა 6 დეკემბერს შეიტანა თანხის ნაწილი 50 ლარი, ხოლო 7 დეკემბერს სრულად გაანულა მიმდინარე დავალიანება. გამოსათვლელია 5 და 6 დეკემბერის ვადაგადაცილების გამო პირგასამტეხლოს სახით გამოსაყენებელი მაქსიმალური თანხების ოდენობა.

გაცემული სესხის თანხა, ლარი	1,000
წლიური საპროცენტო განაკვეთი	15%
სესხის ვადა თვეებში	12
სესხის გაცემის თარიღი	5-Sep-18

გადახდის თარიღები	ყოველთვიური შესატანი	ძირითადი თანხა	პროცენტი	დარჩენილი ძირითადი თანხა
5-Oct-18	90.26	77.76	12.50	922.24
5-Nov-18	90.26	78.73	11.53	843.51
5-Dec-18	90.26	79.71	10.54	763.80
5-Jan-19	90.26	80.71	9.55	683.09
5-Feb-19	90.26	81.72	8.54	601.37
5-Mar-19	90.26	82.74	7.52	518.63
5-Apr-19	90.26	83.78	6.48	434.85
5-May-19	90.26	84.82	5.44	350.03
5-Jun-19	90.26	85.88	4.38	264.14
5-Jul-19	90.26	86.96	3.30	177.19
5-Aug-19	90.26	88.04	2.21	89.14
5-Sep-19	90.26	88.03	1.11	-

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 5 დეკემბერისათვის სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირი შეადგენდა 843,51 ლარს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს სახით ამ დღისათვის შესაძლოა გამოყენებულ ყოფილიყო ერთჯერადი ჯარიმა 20 ლარის ოდენობით, ასევე, მიმდინარე ნარჩენი ძირის 0,27% ანუ $843,51 * 0,27\% = 2,27$ ლარი, ჯამში 22,27 ლარი. თუ ჩავთვლით, რომ 6 დეკემბერს შეტანილი 50 ლარიდან გამსესხებელმა სრულად აიღო ზემოაღნიშნული პირგასამტეხლო - 22,27 ლარი და გრაფიკით განსაზღვრული პროცენტის თანხა - 10,54 ლარი, ხოლო დარჩენილი 17,19 ლარით შეამცირა ძირითადი თანხა, 6 დეკემბერს პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული ხარჯის მაქსიმალური ოდენობა გამოითვლება სესხის ნარჩენი ძირიდან ანუ $(843,51 - 17,19) * 0,27\% = 2,23$ ლარის ოდენობით.

15. შეკითხვა:

რას ნიშნავს სესხის ვადის გადაცილების სრული აღმოფხვრა?

პასუხი:

აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის განსხვავებულია ვადაგადაცილების სრულად აღმოფხვრა იმის მიხედვით ვადაგადაცილების შემდეგ მოხდა სესხის რესტრუქტურისა, გადავადება ან რეფინანსირება თუ არა. კერძოდ,

- ✓ სესხებზე, რომლებიც იფარება თავდაპირველად შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, სესხის ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრად მიიჩნევა სესხის გრაფიკთან „დაწევა“ ანუ მიმდინარე ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად დაფარვა. იმ შემთხვევაში თუ სესხზე მოხდა ერთზე მეტი ყოველთვიური შესატანის გამოტოვება, სესხის ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრად მიიჩნევა ყველა შესატანის დაფარვა ამ პერიოდში დაკისრებულ პირგასამტეხლოებთან და არსებობის შემთხვევაში სხვა ხარჯებთან ერთად.
- ✓ სესხებზე, რომლებიც გადავადებულ, რესტრუქტურისა ან რეფინანსირებულ იქნა ვადაგადაცილების წარმოშობის შემდეგ, ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრად მიიჩნევა მსესხებლის მხრიდან ვადის გადაცილებისას დაკისრებული პირგასამტეხლოს,

ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის, საკომისიოს და ფინანსური ხარჯის შესაბამისი ფულადი სახსრების შესაბამისი მოცულობის თანხის გადახდა. მაგალითად, სესხი, რომლის მიმდინარე ძირითადი თანხა შეადგენდა 1,000 ლარს, ხოლო მასზე დარიცხული %-ების, ჯარიმების და სხვადასხვა საკომისიოების ჯამი 300 ლარს. ვადაგადაცილების შემდეგ მხარეთა შეთანხმებით მოხდა სესხის რესტრუქტურზაცია და გაფორმდა შეთანხმება 1,300 ლარის დაფარვაზე. ამ შემთხვევაში სესხის ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრად მიიჩნევა მსესხებლის მხრიდან რესტრუქტურზაციის შემდეგ ჯამში 300 ლარის შემოტანა, მიუხედავად იმისა, ახალი ხელშეკრულებით შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით სად მიემართა ეს სახსრები.

16. შეკითხვა:

რას ნიშნავს რესტრუქტურზაცია, რეფინანსირება და გადავადება?

პასუხი:

ამ მუხლის მიზნებისათვის:

- ✓ რესტრუქტურზაციად მიიჩნევა არსებული სესხის ახალი დაფარვის გრაფიკზე შეთანხმება/გრაფიკის ცვლილება, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს ან არსებულ სესხზე შექმნილი სირთულეებიდან ან სესხის ნაწილობრივი წინსწრების მიზეზით. მაგალითად, სესხზე მიმდინარე ნაშთი იყო 1,000 ლარი, ხოლო დარიცხული პროცენტების, სხვადასხვა საკომისიოების და პირგასამტეხლოების ჯამი 300 ლარი. მხარეთა შეთანხმებით ჯამურ დავალიანებაზე 1,300 ლარის ოდენობით განისაზღვრა სესხის დაფარვის ახალი გრაფიკი.
- ✓ რეფინანსირებად მიიჩნევა სესხის დაფარვა ახალი სესხის გაცემის გზით, მათ შორის, ისეთ შემთხვევებში, როცა ახალი სესხის მოცულობა აღემატება არსებულ თანხას. მაგალითად, სესხზე მიმდინარე ნაშთი იყო 1,000 ლარი. მხარეთა შეთანხმებით გაიცა ახალი სესხი 1,400 ლარის ოდენობით, რომლიდანაც 1,000 ლარით დაიფარა არსებული სესხი. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მუხლი ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრად არ მიიჩნევა ვადაგადაცილებული სესხის რეფინანსირებას მხოლოდ თავდაპირველ გამსესხებელთან;
- ✓ გადავადებად მიიჩნევა არსებულ სესხზე გრაფიკის ცვლილება ვადის შეცვლის მიზნით, როცა იცვლება სესხის ძირითადი თანხა და/ან იზრდება სესხის დაფარვის ვადა. მაგალითად, სესხის დაფარვამდე დარჩენილი იყო 8 თვიანი ვადა. მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა სესხის დაფარვის ახალი, 12 თვიანი ვადა, რის გამოც შეიცვალა მანამდე შეთანხმებული გრაფიკი. ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მოხდა სესხის გადავადება. ამასთან გადავადებად არ მიიჩნევა შემთხვევა, როცა გრაფიკის ცვლილების თარიღში არსებული სესხის ძირითადი თანხა არ იცვლება და, იმავდროულად, ახალი გრაფიკით არ ხდება სესხის სრულად დაფარვის მანამდე შეთანხმებული თარიღის გადაცილება. მაგალითად, თუ ზემოთ აღნიშნული სესხი იფარებოდა ყოველი თვის 5 რიცხვში და მის სრულად დაფარვა უნდა მომხდარიყო 2019 წლის 5 მარტს. 2018 წლის 4 სექტემბერს მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა სესხის დაფარვის ახალი გრაფიკი, ამავე თარიღში არსებული სესხის მიმდინარე ნაშთის შეუცვლელად შეიცვალა გადახდის თარიღები და განისაზღვრა ყოველი თვის 20 რიცხვში. თუ ახალი გრაფიკით ბოლო გადახდა არ გადაცდება 2019 წლის 5 მარტს, გრაფიკის ამგვარი ცვლილება გადავადებად არ მიიჩნევა.

17. შეკითხვა:

როგორ იანგარიშება სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირის 1,5-მაგი ოდენობა 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიზნებისათვის?

პასუხი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირებისათვის ზღვრული ლიმიტის ანუ სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირის 1,5-მაგი ოდენობის დაანგარიშებისას გასათვალისწინებელია ქვემოთ მითითებული პრინციპების ერთობლიობა:

- ✓ დაანგარიშება იწყება ცალ-ცალკე, ყოველი ვადაგადაცილების დაწყების თარიღიდან და სრულდება ვადაგადაცილების სრული აღმოფხვრის თარიღში;

მაგალითი #1, სამომხმარებლო სესხზე ვადაგადაცილება დაფიქსირდა 4 სექტემბერს, თუმცა ის სრულად აღმოფხვრა 10 ოქტომბერს, ამ პერიოდში სესხზე დარიცხული ხარჯების (პროცენტი, საკომისიო, ვადაგადაცილების პირგასამტეხლო) ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 100 ლარი. 10 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე სესხს დაერიცხა სხვადასხვა ხარჯი (პროცენტი, საკომისიო, პირგასამტეხლო მიზნობრიობის შეუსრულებლობისათვის) ჯამში 25 ლარის ოდენობით. 4 ნოემბერს სესხზე კვლავ დაფიქსირდა ვადაგადაცილება. ამ შემთხვევაში, ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგი ოდენობის ლიმიტის მიზნებისათვის გაითვალისწინება მხოლოდ 4 ნოემბრიდან დარიცხული ხარჯები (როგორც ეფექტურში გათვალისწინებული, ისე სხვა ხარჯები) და მასში არ გაითვალისწინება არც წინა ვადაგადაცილების პერიოდში დარიცხული 100 ლარი, არც 5 ნოემბრამდე დარიცხული 25 ლარი.

- ✓ გაითვალისწინება ვადაგადაცილების დაწყების თარიღში არსებული ძირითადი თანხა, მიუხედავად იმისა, ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე შეიცვალა თუ არა (გაიზარდა თუ შემცირდა) ძირითადი თანხის მოცულობა;

მაგალითი #2, 4 ნოემბერს სამომხმარებლო სესხისათვის მსესხებელს გრაფიკით შეთანხმებული 100 ლარიანი გადახდა არ განუხორციელებია, შედეგად, დაფიქსირდა ვადაგადაცილება. ამ თარიღისათვის სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხა იყო 1,000 ლარი. 4 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე პერიოდში სესხზე დამატებით დაირიცხა ერთჯერადი პირგასამტეხლო 10 ლარის ოდენობით, ასევე, 6 ვადაგადაცილებულ დღეზე დაკისრებული დღიური საკომისიო ჯამში 16,20 ლარის ოდენობით, რის შემდეგაც მსესხებლის მიმდინარე დავალიანებამ შეადგინა 126,20 ლარი. 10 ნოემბერს მსესხებელმა შეიტანა 80 ლარი, საიდანაც 26,20 ლარით დაიფარა ვადაგადაცილების პირგასამტეხლოები, 23,80 ლარით დაიფარა სესხზე გრაფიკის მიხედვით დარიცხული პროცენტის თანხა, ხოლო დანარჩენი 30 ლარით შემცირდა ძირითადი თანხა. შედეგად, მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის მოცულობა 10 ნოემბრის ბოლოსათვის შეადგენდა 980 ლარს, თუმცა ვადაგადაცილების სრული აღმოფხვრა არ მომხდარა. შესაბამისად, 1,5-მაგი ოდენობის დათვლის მიზნებისათვის გამოიყენება 1,000 ლარი. ანალოგიურად, არ მოახდენდა 1,5-მაგი ოდენობის დაანგარიშების მიზნებისათვის სესხის ძირითადი თანხის ზრდაც, თუ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიუხედავად ვადაგადაცილებისა, ადგილი ექნებოდა დამატებითი საკრედიტო ლიმიტის ათვისებას.

- ✓ სესხის ვადის გადაცილებისას ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ისეთი ხარჯების, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ მოიცავს სესხის ძირითადი თანხას, ასევე, ვადაგადაცილების დაწყებამდე დარიცხულ ხარჯებს;

მაგალითი #3, 4 ნოემბერს სესხზე ვადაგადაცილებისას სესხის მიმდინარე ძირითადი თანხა იყო 1,000 ლარი, ხოლო 4 ნოემბრამდე დარიცხული სხვადასხვა ხარჯი შეადგენდა 25 ლარს. თუ 4 ნოემბრის შემდეგ სესხზე აღარ განხორციელდება არცერთი გადახდა, ჯამური თანხა რაც შეიძლება დაეკისროს მსესხებელს შეადგენს: 1,000 ლარი (სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხა) + 25 ლარი (ვადაგადაცილებამდე დაკისრებული ხარჯების მოცულობა)+1,500 ლარი (სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგი ოდენობა)=2,525 ლარი.

- ✓ თუ სესხის ვადაგადაცილების შემდეგ მის სრულ აღმოფხვრამდე ხორციელდება სესხის რეფინანსირება, რესტრუქტურისაცია და/ან გადავადება, სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითად თანხაში არ გაითვალისწინება სესხის ძირითადი თანხის ნაზრდი;

მაგალითი#4, 4 ნოემბერს სესხზე ვადაგადაცილებისას სესხის მიმდინარე ძირითადი თანხა იყო 1,000 ლარი, ხოლო 4 ნოემბრამდე დარიცხული სხვადასხვა ხარჯი შეადგენდა 25 ლარს, ხოლო 4 ნოემბრიდან 20 იანვრამდე დარიცხულმა ხარჯებმა შეადგინა 275 ლარი. 20 იანვარს გამსესხებელი და მსესხებელი შეთანხმდნენ სესხის რესტრუქტურისაციაზე. ამ მიზნით გაფორმდა ახალი შეთანხმება ჯამური დავალიანების (1,000+25+275), 1,300 ლარის გადახდაზე. აღნიშნული დავალიანების დასაფარად შეთანხმდა გადახდის ქვემოთ მოცემული გრაფიკი, თვეში 126,73 ლარის ოდენობით. რესტრუქტურისაციამდე დაწყებული ვადაგადაცილების სრულად აღმოფხვრას ადგილი ექნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსესხებელი დაფარავს კაპიტალიზებულ ხარჯებს 275 ლარის ოდენობით.

სცენარი #1. მსესხებელი 20 მარტის ჩათვლით ახორციელებს გადახდებს შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ხოლო 20 აპრილიდან წყვეტს გადახდებს. შესაბამისად, 20 აპრილამდე სესხზე გადახდილია $126,73 \times 2 = 253,46$ ლარი, რაც უფრო ნაკლებია, ვიდრე ზემოაღნიშნული 275 ლარი. ამდენად, ამ მუხლის მიზნებისთვის ვადაგადაცილება აღმოფხვრილად არ ითვლება. შედეგად, (ა) გამსესხებელი მსესხებელს ვერ დააკისრებს ერთჯერად 20-ლარამდე ჯარიმას, (ბ) სესხის ნარჩენი ძირითადი თანხისათვის, 0,27%-იანი და 1,5-მაგი ოდენობის დაანგარიშების მიზნებისათვის უნდა გამოიყენოს 1,000 ლარი, მიუხედავად იმისა, რომ ამ თარიღისათვის სესხის რეალური ძირითადი თანხის ნაშთი 1,109,18 ლარია. გ) სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგი ოდენობაში ანუ 1,500 ლარში უნდა გაითვალისწინოს 4 ნოემბრიდან 20 იანვრამდე დარიცხული ხარჯები 275

ლარის ოდენობით, და 20 აპრილამდე დარიცხული საპროცენტო ხარჯები 62,64 ლარის ოდენობით და 20 აპრილის შემდეგ დარიცხული ყველა ფინანსური ხარჯი.

სცენარი #2. მსესხებელი 20 აპრილის ჩათვლით ახორციელებს გადახდებს შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ხოლო 20 მაისიდან წყვეტს გადახდებს. შესაბამისად, 20 მაისამდე სესხზე გადახდილია 126,73*3=380,19 ლარი, რაც უფრო მეტია, ვიდრე ზემოაღნიშნული 275 ლარი. ამდენად, ამ მუხლის მიზნებისთვის ვადაგადაცილების აღმოფხვრა მოხდა 20 აპრილს, ხოლო 20 მაისიდან ის თავიდან დაიწყო. შედეგად, (ა) გამსესხებელს შეუძლია მსესხებელს დააკისროს ერთჯერად 20-ლარიანი ჯარიმას, (ბ) სესხის ნარჩენი ძირითადი თანხისათვის, 0,27%-იანი და 1,5-მაგი ოდენობის დაანგარიშების მიზნებისათვის უნდა გამოიყენოს 1,000 ლარი, მიუხედავად იმისა, რომ ამ თარიღისათვის სესხის რეალური ძირითადი თანხის ნაშთი 1,010,17 ლარია, რადგან 10,17 ლარი, ანუ ნაზრდი არ გაითვალისწინება, გ) სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგ ოდენობაში ანუ 1,5000 ლარში უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ 20 მაისის შემდეგ დარიცხული ყველა ფინანსური ხარჯი.

გაცემული სესხის თანხა, ლარი	1,300
წლიური საპროცენტო განაკვეთი	30%
სესხის ვადა თვეებში	12
სესხის გაცემის თარიღი	20-Jan-19

გადახდის თარიღები	ყოველთვიური შესატანი	ძირითადი თანხა	პროცენტი	დარჩენილი ძირითადი თანხა
20-Feb-19	126.73	94.23	32.50	1,205.77
20-Mar-19	126.73	96.59	30.14	1,109.18
20-Apr-19	126.73	99.00	27.73	1,010.17
20-May-19	126.73	101.48	25.25	908.69
20-Jun-19	126.73	104.02	22.72	804.68
20-Jul-19	126.73	106.62	20.12	698.06
20-Aug-19	126.73	109.28	17.45	588.78
20-Sep-19	126.73	112.01	14.72	476.77
20-Oct-19	126.73	114.81	11.92	361.95
20-Nov-19	126.73	117.68	9.05	244.27
20-Dec-19	126.73	120.63	6.11	123.64
20-Jan-20	126.73	120.55	3.09	-

18. შეკითხვა:

თუ სესხის რესტრუქტურირაცია, გადავადება ან რეფინანსირება ხდება მას შემდეგ, რაც მასზე დარიცხული ფინანსური ხარჯებით ამოწურულია 1,5-მაგი ოდენობა, ეს ნიშნავს იმას, რომ ახალი სესხის გრაფიკი მხოლოდ 0%-ში უნდა შედგეს? ზოგადად ვადაგადაცილებაში მყოფ სესხზე ახალი გრაფიკის შედგენისას სავალდებულოა თუ არა 1,5-მაგი ოდენობის ლიმიტების გათვალისწინება?

პასუხი:

სესხის რესტრუქტურისა/გადავადება/რეფინანსირების დროს ახალი შეთანხმების ვადორმებისას დაიშვება, რომ მხარეები იხელმძღვანელებენ შეთანხმებული პირობებით და ვადაგადაცილების აღმოფხვრა მოხდება. ამდენად, გრაფიკის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს 50%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ლიმიტი გრაფიკში იმ თარიღის გათვალისწინებით, როცა მომხმარებელი სრულად აღმოფხვრის ვადაგადაცილებას.

მაგალითი #1: სესხზე რომლის მიმდინარე ძირითადი ნაშთი ვადაგადაცილების დაწყებისას იყო 1,000 ლარი, რესტრუქტურისა/გადავადება/რეფინანსირების დროს, როცა ვადის გადაცილებისას სესხზე დარიცხული ყველა ფინანსური ხარჯის ჯამი იყო 500 ლარი. ახალი (რესტრუქტურისა/გადავადება/რეფინანსირების) ხელშეკრულებით შედგა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მსესხებელს ყოველთვიურად გადასახდელი აქვს 125 ლარი. საიდანაც ყოველთვიურად %-ის დასაფარად მიემართება 25 ლარი, ხოლო ძირის დასაფარად 100 ლარი. აღნიშნული მაგალითის შემთხვევაში, ახალი (რესტრუქტურისა/გადავადება/რეფინანსირების) ხელშეკრულების დადებისას დაიშვება, რომ მსესხებელი დროულად შეასრულებს ვალდებულებებს და 4 თვის შემდეგ მის მიერ გადახდილი თანხა შეადგენს 500 ლარს, შესაბამისად, ამ თარიღისათვის ის სრულად აღმოფხვრის ვადაგადაცილებას. ამ 4 თვეში მსესხებლის მიერ %-ის სახით გადახდილი თანხა იქნება მხოლოდ 100 ლარი, რაც უკვე დარიცხულ 500 ლართან ერთად, არ არღვევს სესხზე დასაკისრებელი მაქსიმალური 1,5-მაგი ოდენობის ლიმიტს. შესაბამისად, ასეთი გრაფიკის შედგენა, მიუხედავად იმისა სრული გრაფიკის მიხედვით გადასახდელი %-ის თანხა რამდენია, არ არღვევს 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს.

მაგალითი #2: სესხზე რომლის მიმდინარე ძირითადი ნაშთი ვადაგადაცილების დაწყებისას იყო 1,000 ლარი, რესტრუქტურისა/გადავადება/რეფინანსირების დროს, როცა ვადის გადაცილებისას სესხზე დარიცხული ყველა ფინანსური ხარჯის ჯამი იყო 1,500 ლარი. რამდენადაც სესხის მიმდინარე ძირითადი თანხის 1,5-მაგი ოდენობის ლიმიტი უკვე ამოწურულია, რესტრუქტურისა/გადავადება/რეფინანსირების გრაფიკის შედგენა ჯამური 2,500 ლარის დასაფარად შესაძლებელია იმგვარად, რომ გრაფიკის იმ თარიღამდე, სანამ სრულად არ დაიფარება 1,500 ლარი 2,500 ლარიან ძირზე დამატებითი ფინანსური ხარჯების, მათ შორის, %-ის დარიცხვა არ ხდებოდეს, ხოლო მას შემდეგ რაც 1,500 ლარი დაიფარება გრაფიკის შესაბამისად ნარჩენი ძირითადი თანხა ანუ 1,000 ლარი დაიფაროს 50%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ლიმიტის დაცვით.

19. შეკითხვა:

როგორ იანგარიშება სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირის 1,5-მაგი ოდენობა 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიზნებისათვის თუ რამდენიმე სესხის გაერთიანება მოხდა?

პასუხი:

სესხების გაერთიანების შემთხვევაში თითოეულ სესხზე დადგენილი ლიმიტების დაანგარიშება უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად და იმავე პრინციპით, როგორც ეს მოხდებოდა სესხების გაერთიანების გარეშე.

6. ამ მუხლის მიზნებისათვის „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ განიმარტება საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით.

6¹. ამ მუხლის მე-5 ნაწილის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის და საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების ამ მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულისაგან განსხვავებული წესი.

20. შეკითხვა:

გთხოვთ, მიგვითითოთ 6 და 6¹ ნაწილებში ნახსენები ნორმატიული დოკუმენტები.

პასუხი:

აღნიშნული ნორმატიულ დოკუმენტებია:

- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის #151/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყისი“ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500606>
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს #194/04 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების, სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების უწყისი“ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4312325>

7. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეზე) 100 000 (ასი ათას) ლარამდე სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით. ამ ნაწილის მიზნებისათვის ლარით გაცემულ სესხად არ მიიჩნევა ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული სესხი.

21. შეკითხვა:

გთხოვთ, მიგვითითოთ არსებობს თუ არა კანონმდებლობაში ამ ნაწილისგან განსხვავებული წესი?

პასუხი:

აღნიშნული ნაწილისგან განსხვავებულ წესს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 13 იანვრის #4/04 ბრძანება „კომერციული ბანკების მიერ 100 000 ლარამდე სესხის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ - იხ. ზემოაღნიშნული დოკუმენტის ბმული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3547854>

22. შეკითხვა:

თუ ხელშეკრულება ავტომატურ პროლონგაციას გულისხმობდა, შესაძლებელია მისი ძველ ვალუტაში გაგრძელება?

პასუხი:

თუ, ხელშეკრულება ითვალისწინებს მისი ვადის ავტომატურ გაგრძელებას, ასეთი ვადის გაგრძელება არ ჩაითვლება ახალ სასესხო ურთიერთობად და მასზე არ გავრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სავალუტო შეზღუდვები.

23. შეკითხვა:

თუ ხელშეკრულება უცხოური ვალუტით სესხზე დადებულია კანონის ძალაში შესვლამდე და გულისხმობს სესხის გაცემას ტრანშებით, მაშინ 100 000 ლარზე ნაკლები ტრანშის გაცემა უცხოური ვალუტით შეიძლება?

პასუხი:

ტრანშების ფარგლებში 100 000-ზე ნაკლების გაცემის უფლება არსებობს თუ: 1) ხდება ტრანშის გაცემა ყოველგვარი დამატებითი ხელშეკრულების დადების გარეშე და 2) კლიენტს შეუძლია კრედიტორის მხრიდან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე აითვისოს თითოეული ასეთი ტრანში.

24. შეკითხვა:

თუ, მსესხებელთან გაფორმებული იყო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება უცხოურ ვალუტაში, რომლის ათვისება ხდებოდა ტრანშებად. მსესხებელმა აითვისა მხოლოდ ერთი ტრანში და შემდგომ ტრანშების ათვისებაზე უარი განაცხადა. არღვევს თუ არა ამ დროს კრედიტორი სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს 100 000 ლარიან ლიმიტთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მსესხებლის მიერ ათვისებული თანხა არ აღემატება 100 000 ლარს უცხოურ ვალუტაში?

პასუხი:

თუ კუმულატიურად დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: 1) ხდება ტრანშის გაცემა ყოველგვარი დამატებითი ხელშეკრულების დადების გარეშე და 2) კლიენტს შეუძლია კრედიტორის მხრიდან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე აითვისოს თითოეული ასეთი ტრანში, და მსესხებელი უარს ამბობს შემდეგი ტრანშების ათვისებაზე, აღნიშნული არ ჩაითვლება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თანხობრივი ლიმიტის დარღვევად.

25. შეკითხვა:

ვრცელდება თუ არა უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემის შეზღუდვა დეპოზიტით უზრუნველყოფილ სესხებზე?

პასუხი:

100 000 ლარიანი შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ (ბლანკეტურ) სესხზე.

26. შეკითხვა:

თუ კომპანია იღებს ფიზიკური პირის დეპოზიტით უზრუნველყოფილ სესხს, ამ შემთხვევაში უნდა ვრცელდება თუ არა უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემის შეზღუდვა?

პასუხი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ფიზიკურ პირზე საუბრობს. შესაბამისად, იურიდიულ პირებზე ვალუტის შეზღუდვა არ მოქმედებს

27. შეკითხვა:

შესაძლებელია, თუ არა უცხოური ვალუტით გაცემული სესხის რეფინანსირებისას თანხის დამატება, თუ ჯამურად სესხის თანხა 100,000 ლარზე ნაკლებია? მაგ. კლიენტს აქვს 10,000 დოლარის სესხი. შესაძლებელია ამ სესხის რეფინანსირებისას სესხის 15,000 დოლარამდე გაზრდა?

პასუხი:

იმავე კრედიტორთან სესხის რეფინანსირებისას, გაცემული სესხის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს რეფინანსირებამდე არსებული სესხის მოცულობას (ძირი, პროცენტი, ჯარიმა). იმ შემთხვევაში, თუ ხდება სესხის მოცულობის გაზრდა, სესხი ჩაითვლება ახალ სესხად და მასზე გავრცელდება სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვები.

28. შეკითხვა

შესაძლებელია, თუ არა სხვა კრედიტორის მიერ გაცემული სესხის რეფინანსირება უცხოურ ვალუტაში?

სხვა კრედიტორის მიერ გაცემული სესხის რეფინანსირება ჩაითვლება ახალი სესხის გაცემად და მასზე გავცრელდებოდა სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვები.

8. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში გამსესხებელს ეკრძალება, მის მიერ გაცემული სესხის რეფინანსირების შემთხვევაში ან სესხის მომხმარებლის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაფარვის შემთხვევაში მომხმარებელს დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად არის წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, რომელიც სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 2 პროცენტს აღემატება.

29. შეკითხვა:

გთხოვთ, მიგვითითოთ არსებობს თუ არა კანონმდებლობაში ამ ნაწილისგან განსხვავებული წესი?

პასუხი:

აღნიშნული წესისგან განსხვავებულ წესს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის #151/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“-ს მე-9 მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები - იხ. ზემოაღნიშნული დოკუმენტის ბმული - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500606>

[საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ \(დოკუმენტის #3315-რს\)](#)

მუხლი 2

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-10 ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-2-3¹ და მე-5 ნაწილების მოთხოვნები არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემულ სესხზე/საბანკო კრედიტზე, გარდა ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული სესხის/კრედიტის ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ნებისმიერი ფორმით გადავადების, რესტრუქტურისაციისა და რეფინანსირების შემთხვევებისა.

30. შეკითხვა:

როგორ და რა შემთხვევაში გავრცელდება 2018 წლის 1-ელი სექტემბრიდან ამოქმედებული შეზღუდვები ამ თარიღამდე დადებულ ხელშეკრულებებზე?

პასუხი:

თუ სესხი გაცემულ იყო ახალი რეგულაციების ამოქმედებამდე, მაგრამ მოხდა მისი ნებისმიერი მიზეზით გადავადება, რესტრუქტურისაცია და რეფინანსირება - სესხზე ახალი შეთანხმება უნდა განხორციელდეს მოქმედი რეგულაციების ფარგლებში. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების შემთხვევაში სესხებზე, რომლებიც გაცემულ იქნა 2018 წლის პირველ სექტემბრამდე, თუმცა

მათი გადავადება, რესტრუქტურიზაცია ან რეფინანსირება ხორციელდება 2018 წლის 31 აგვისტოს შემდეგ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის ფინანსურ ხარჯებად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც მსესხებლის მხრიდან გაწეულ იქნა გადავადების, რესტრუქტურიზაციის ან რეფინანსირების თარიღიდან და შემდგომ პერიოდში, საწყის თარიღად მიჩნეულ იქნეს გადავადების, რესტრუქტურიზაციის ან რეფინანსირების თარიღი, ხოლო საწყისი თარიღისათვის მიღებულ თანხად გათვალისწინებულ იქნეს გადავადებული, რესტრუქტურიზებული ან რეფინანსირებული სასესხო დავალიანება.

მაგალითი #1: სესხზე, რომელიც გაცემული იყო 2018 წლის 4 იანვარს ქვემოთ მოცემული პარამეტრებით, მხარეებს შორის შეთანხმებით 2018 წლის 4 სექტემბერს შეიცვალა სესხზე გადახდის თარიღი, დაიღო ახალი შეთანხმება და ნაცვლად ყოველი თვის 4 რიცხვისა, სესხის დაფარვა განხორციელდება ყოველი თვის 15 რიცხვში და დაიფარება 2019 წლის 15 იანვარს.

გაცემული სესხის თანხა, ლარი	1,000
წლიური საპროცენტო განაკვეთი	67%
სესხის ვადა თვეებში	12
სესხის გაცემის თარიღი	4-Jan-18
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	94.4%

გადახდის თარიღები	ყოველთვიური შესატანი	მირითადი თანხა	პროცენტი	დარჩენილი მირითადი თანხა
4-Feb-18	117.11	60.44	56.67	939.56
4-Mar-18	117.11	63.87	53.24	875.69
4-Apr-18	117.11	67.48	49.62	808.21
4-May-18	117.11	71.31	45.80	736.90
4-Jun-18	117.11	75.35	41.76	661.55
4-Jul-18	117.11	79.62	37.49	581.93
4-Aug-18	117.11	84.13	32.98	497.80
4-Sep-18	117.11	88.90	28.21	408.90
4-Oct-18	117.11	93.94	23.17	314.97
4-Nov-18	117.11	99.26	17.85	215.71
4-Dec-18	117.11	104.88	12.22	110.83
4-Jan-19	117.11	104.55	6.28	-

რამდენადაც ადგილი ჰქონდა გადავადებას, ახალ სესხზე ხარჯების გათვალისწინება უნდა განხორციელდეს ახალი საკანონმდებლო რეგულაციების ფარგლებში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლებისათვის კი უნდა გათვალისწინებულ იქნეს გადავადების თარიღში არსებული მონაცემები. კერძოდ, 4 სექტემბრისათვის არსებული მირითადი ნაშთის (497,80 ლარი) და ამ თარიღისთვის დარიცხული საპროცენტო ხარჯის (28,21 ლარი) ჯამის გადანაწილება მომდევნო პერიოდზე უნდა განხორციელდეს 50%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაცვით.

გაცემული სესხის თანხა, ლარი	526.01
წლიური საპროცენტო განაკვეთი	41.35%
სესხის ვადა თვეებში	4-
სესხის გაცემის თარიღი	4-Sep-18
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	50.0%

გადახდის თარიღები	ყოველთვიური შესატანი	ძირითადი თანხა	პროცენტი	დარჩენილი ძირითადი თანხა
15-Oct-18	143.02	118.59	24.43	407.42
15-Nov-18	143.02	128.71	14.31	278.70
15-Dec-18	143.02	133.55	9.47	145.15
15-Jan-19	150.25	145.15	5.10	-

მაგალითი #2: 1,000 ლარიანი სესხი, რომელიც გაცემული იყო 2018 წლის 4 იანვარს, ერთი თვის ვადით, ითვალისწინებდა მრავალჯერადი გადავადების სერვისს. მსესხებელს ვადის ბოლოს უნდა გადაეხადა 1058 ლარი ან ყოველთვიურად, ყოველი თვის 4 რიცხვში გადაეხადა გადავადების საფასური 58 ლარის ოდენობით. მსესხებელი 4 სექტემბრამდე სარგებლობდა გადავადების სერვისით და ყოველთვიურად იხდიდა მხოლოდ გადავადების საფასურს. შედეგად, მას შემდეგ, რაც 2018 წლის 4 სექტემბერს განხორციელდება მორიგი გადავადება (ისევე 58 ლარის ოდენობით) სესხი ექცევა ახალი რეგულაციების მოქმედების სფეროში და შემდგომი გადახდები უნდა განხორციელდეს მოქმედი ლიმიტების ფარგლებში. შედეგად, თუ სესხზე სხვა პირობები არ შეცვლილა 2018 წლის 4 ოქტომბრისათვის გადავადების საფასურის აღება შესაძლებელი იქნება დაახლოებით 33 ლარიანი საკომისიოს საფასურად.

მაგალითი #3: 2018 წლის 5 აგვისტოს გაცემულ 5,000 ლარიანი სესხზე მსესხებელს 2018 წლის 4 სექტემბერს შეაქვს წინსწრებით 1,000 ლარი და გამსესხებლისგან ითხოვს ახალ გრაფიკს ყოველთვიურად გადასახდელი თანხის შემცირებით. რამდენადაც საწყისი სესხის 20%-ის, მინიმუმ 500 ლარის დაფარვის შემთხვევაში და მსესხებლის მოთხოვნის შესაბამისად (#151/04 ბრძანებით დამტკიცებული წესი „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი, მუხლი 9(5)), გამსესხებელი ვალდებულია მას შესთავაზოს ახალი გრაფიკის ალტერნატივები, იმავდროულად, ახალ გრაფიკზე შეთანხმებით განხორციელდება სესხის რესტრუქტურირაცია და, შესაბამისად, დაცულ უნდა იქნეს მოქმედი 625-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები;

მაგალითი #4: 2018 წლის 4 აპრილს გაცემულ 1,000 ლარიანი სესხზე პერიოდული ვადაგადაცილებების შედეგად დაგროვილმა ფინანსურმა ხარჯებმა 2018 წლის 3 სექტემბრისთვის შეადგინა 300 ლარი, სესხის ძირითადი თანხა კი შემცირებულ იქნა 900 ლარამდე. გამსესხებელი და მსესხებელი თანხმდებიან რესტრუქტურირაციაზე, რისთვისაც დაფარვის გრაფიკი დგება 12 თვეზე. გამსესხებელი მსესხებელს სთავაზობს 300 ლარის გადანაწილებას სესხის ვადაზე, ხოლო დარჩენილ 900 ლარზე უდგენს ახალ გრაფიკს. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს მოქმედი რეგულაციების მოთხოვნები ჯამურ დავალიანების დაფარვა 1,200 ლარის ოდენობით უნდა განხორციელდეს 50%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში, რისთვისაც 2018 წლის 3 სექტემბრიდან გამსესხებელი და მსესხებელი თანხმდებიან ჯამურ გადახდებზე თვეში 143,74 ლარის ოდენობით, საიდანაც

თვეში 30 ლარი გადანაწილებული ფინანსური ხარჯებია, ხოლო დანარჩენი სესხის ძირის ანუიტეტური გრაფიკით დათვლილი გადასახდელი.

გადანაწილებული სესხის ძირი, ლარი	900.00						
გადანაწილებული ფინანსური ხარჯები, ლარი	300.00						
წლიური % სესხზე	54.00%						
წლიური % გადანაწილებულ ფინანსურ ხარჯებზე	0.00%						
სესხის ვადა თვეებში	10						
სესხის გაცემის თარიღი	3-Sep-18						
ეფექტური % გადანაწილებულ ფინანსურ ხარჯებზე	0%						
ეფექტური % ჯამურ ფულად ნაკადებზე	50%						

გადახდის თარიღები	ყოველთვიური შესატანი	ძირითადი თანხა	პროცენტი	დარჩენილი ძირითადი თანხა	დაგროვილი ფინანსური ხარჯების გადანაწილება	ჯამური ფულადი ნაკადები
3-Sep-18	(900.00)				(300.00)	(1,200.00)
3-Oct-18	113.74	73.80	39.95	826.20	30.00	143.74
3-Nov-18	113.74	75.85	37.89	750.36	30.00	143.74
3-Dec-18	113.74	80.44	33.30	669.92	30.00	143.74
3-Jan-19	113.74	83.02	30.72	586.90	30.00	143.74
3-Feb-19	113.74	86.82	26.92	500.08	30.00	143.74
3-Mar-19	113.74	93.03	20.72	407.05	30.00	143.74
3-Apr-19	113.74	95.07	18.67	311.98	30.00	143.74
3-May-19	113.74	99.89	13.85	212.09	30.00	143.74
3-Jun-19	113.74	104.01	9.73	108.07	30.00	143.74
3-Jul-19	112.87	108.07	4.80	-	30.00	142.87

მაგალითი #5: სესხი გაცემულია 2017 წლის 20 სექტემბერს და 2018 წლის 20 სექტემბერს მხარეთა შეთანხმებით ხორციელდება სესხის ვადის გაგრძელება. სესხის გაგრძელების შემთხვევაში არ ფორმდება ცალკე დამოუკიდებელი ხელშეკრულება, ფორმდება მხოლოდ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ასევე რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. ამ შემთხვევაში სესხის გამცემი ვალდებულია, საპროცენტო განაკვეთი და პირგასამტეხლოს ოდენობა მოიყვანოს ცვლილებებთან შესაბამისობაში

მაგალითი #6: სესხი 10,000 ლარის ოდენობით გაცემულია 2017 წლის 20 სექტემბერს და მსესხებელს უნდა რომ 2018 წლის 20 სექტემბერს აღნიშნულ სესხზე დაიმატოს 5,000 ლარი, რის საფუძველზედაც მას ძირი გაუხდება 15,000 ლარი. ამ შემთხვევაში მხარეებს შორის ფორმდება სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. გამსესხებელი ვალდებული იქნება, საპროცენტო განაკვეთი და პირგასამტეხლო მოიყვანოს ცვლილებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ამასთან, პირგასამტეხლო და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გადაიანგარიშება - 15000 ლარიდან

[სამოქალაქო კოდექსის სხვა ცვლილებებთან დაკავშირებული შეკითხვები](#)

[ცვლილებები 254-ე და 286-ე მუხლებში](#)

. 254-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 და მე-7 ნაწილები:

„6. ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეზე) გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება, აგრეთვე სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალება.

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ დასადები/დადებული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფაზე.“.

4. 286-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4–მე-7 ნაწილები:

„4. ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეზე) გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის ან სხვა ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, აგრეთვე წყლის და საჰაერო სატრანსპორტო საშუალება.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ დასადები/დადებული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფაზე.

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით დგინდება, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი საცხოვრებელ სადგომად გამოყენების მიზნით სარეგისტრაციო სასაქონლო იპოთეკარ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს), ან ადგილსამყოფლად (იურიდიულ მისამართად) გამოყენების მიზნით გადაეცემა იპოთეკარ იურიდიულ პირს. ამასთანავე, თუ ერთი და იმავე ფიზიკური პირის (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმის) ან იურიდიული პირის სასარგებლოდ რეგისტრირებულია ორი იპოთეკის უფლება, მესამე და ყოველი მომდევნო იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას მასზე ვრცელდება ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა.

7. მარეგისტრირებელი ორგანოსათვის იპოთეკის უფლების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი იპოთეკის ხელშეკრულების შინაარსისთვის, მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ნამდვილობისა და მართლზომიერებისათვის პასუხისმგებელი არიან უშუალოდ იპოთეკის ხელშეკრულების მხარეები.“.

31. შეკითხვა:

აქვს თუ არა შესაძლებლობა იურიდიულ პირს ფიზიკური ან იურიდიული პირისგან აიღოს ასევე, ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე გასცეს სესხი უძრავი ქონების უზრუნველყოფით?

პასუხი:

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48³ მუხლის შესაბამისად, მეწარმე სუბიექტს ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფს უფლება არა აქვს, ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციის, არასაბანკო-სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის ლიცენზიის ან საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე 20-ზე მეტი ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისაგან) მოიზიდოს დაბრუნებადი ფულადი სახსრები (მათ შორის, მიიღოს სესხი) ან/და აწარმოოს პირთა ფართო წრისაგან დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვის რეკლამირება. შესაბამისად, ფიზიკური პირისაგან თანხის მოზიდვის (ე.წ. სესხის აღება) ნაწილში გასათვალისწინებელია ორგანული კანონის დანაწესები. რაც შეეხება იურიდიული პირის მიერ, იურიდიული პირისაგან მისი ან ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უზრუნველყოფით სესხის მიღებას, აღნიშნული ქმედების ამკრძალავ ნორმებს საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში არ ვხვდებით. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებში არ ფიქსირდება ისეთი შეზღუდვები (საკანონმდებლო მაცნე, სარეგისტრაციო კოდი: 040000000.05.001.019067), რომელიც იურიდიულ პირს უკრძალავს იურიდიულ პირზე სესხის გაცემას, მათ შორის ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უზრუნველყოფით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იურიდიულ პირს არ აქვს უფლება გასცეს სესხი ფიზიკურ პირზე ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების/ავტოსატრანსპორტო საშუალების უზრუნველყოფით,

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იურიდიულ პირს არ აქვს უფლება გასცეს სესხი ფიზიკურ პირზე ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების/ავტოსატრანსპორტო საშუალების უზრუნველყოფით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, არის საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი და სესხის გამცემი სუბიექტი. გასათვალისწინებელია, რომ შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით დგინდება, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი საცხოვრებელ სადგომად გამოყენების მიზნით სარგებლობაში გადაეცემა იპოთეკარ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს), ან ადგილსამყოფლად (იურიდიულ მისამართად) გამოყენების მიზნით გადაეცემა იპოთეკარ იურიდიულ პირს (დარეგისტრირებული იპოთეკის რაოდენობის გათვალისწინებით). აქვე გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება, საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა დარეგისტრირდეს სესხის გამცემ სუბიექტად.

32. შეკითხვა:

რა იგულისხმება გაცემულ სესხში? მაგალითად თუ სესხი გაცემული იქნა 2018 წლის 20 აგვისტომდე და 2018 წლის სექტემბრის თვეში ფორმდება სესხის იპოთეკით უზრუნველყოფა. ეს შემთხვევა ექცევა ზემოაღნიშნული მუხლის რეგულირების სფეროში?

პასუხი:

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საკანონმდებლო მაცნე, სარეგისტრაციო კოდი: 040000000.05.001.019067) მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-3–მე-6 ნაწილების მოქმედება (მათ შორისაა 286-ე მუხლის ახალი რედაქცია) გავრცელდეს მისი ამოქმედების შემდეგ (2018 წლის 20 აგვისტოდან) რეგისტრირებულ იპოთეკასა და გირავნობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. აგრეთვე ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული იპოთეკისა და გირავნობის უფლების ფარგლებში გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ნებისმიერი ფორმით გადავადების, რესტრუქტურისაციისა და რეფინანსირების შემთხვევებზე, თუ სესხის/კრედიტის ნაშთი იზრდება. შესაბამისად, თუ 2018 წლის სექტემბრის თვეში გასურთ სესხის უზრუნველყოფა იპოთეკით, უნდა გაითვალისწინოთ სამოქალაქო კოდექსის ცვლილებით დადგენილი შესაბამისი შეზღუდვები.

33. შეკითხვა:

შესაძლებელია რომ ფიზიკურ პირზე გაცემული/გასაცემის სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნეს იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონება, თუნდაც იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული იურიდიული პირის მესაკუთრე და/ან დირექტორი იყოს მსესხებელი ფიზიკური პირი.

პასუხი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებში არ ფიქსირდება ისეთი შეზღუდვები (საკანონმდებლო მაცნე, სარეგისტრაციო კოდი: 040000000.05.001.019067), რომელიც კრძალავს გაცემული/გასაცემის სესხის უზრუნველსაყოფად იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენებას.

34. შეკითხვა:

საქართველოს ეროვნულ ბანკში სესხის გამცემ სუბიექტად ან სხვა ლიცენზიას დაქვემდებარებულ სუბიექტად რეგისტრაციამდე შეძლებს მეწარმე სუბიექტი ფიზიკურ პირზე იპოთეკით ან ავტოსატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას?

პასუხი:

თუ პირი არ არის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი ან სესხის გამცემი სუბიექტი, იგი ვერ შეძლებს ფიზიკურ პირზე იპოთეკური სესხების გაცემას. 286-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით დგინდება, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი საცხოვრებელ სადგომად გამოყენების მიზნით სარგებლობაში გადაეცემა იპოთეკარ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს), ან ადგილსამყოფლად (იურიდიულ მისამართად) გამოყენების მიზნით გადაეცემა იპოთეკარ იურიდიულ პირს. ამასთანავე, თუ ერთი და იმავე ფიზიკური

პირის (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმის) ან იურიდიული პირის სასარგებლოდ რეგისტრირებულია ორი იპოთეკის უფლება, მესამე და ყოველი მომდევნო იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას მასზე ვრცელდება მითითებული შეზღუდვა.

35. შეკითხვა:

რა იგულისხმება შემდეგ ჩანაწერში „ამასთანავე, თუ ერთი და იმავე ფიზიკური პირის (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმის) ან იურიდიული პირის სასარგებლოდ რეგისტრირებულია ორი იპოთეკის უფლება, მესამე და ყოველი მომდევნო იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას მასზე ვრცელდება ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა.“?

მაგალითად, თუ პირის სასარგებლოდ რეგისტრირებულია A და B იპოთეკის ხელშეკრულება, იგი C (და ყოველი მომდევნო) იპოთეკისას, ვეღარ შეძლებს ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეზე) გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მის ან სხვა ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, აგრეთვე წყლის და საჰაერო სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას, თუ იგი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტი.

36. კითხვა:

ერთი და იმავე სესხის უზრუნველსაყოფად თუ საცხოვრებელი მიზნებისათვის იტვირთება ორი უძრავი ქონება, ერთ რეგისტრირებულ იპოთეკად განიხილება თუ ორ იპოთეკად.

პასუხი:

საკითხი დარეგულირებულია სსკ-ის 286-ე მუხლით. ჩვენი მოსაზრებით, საცხოვრებელი მიზნებისათვის დატვირთული ორი ქონება განიხილება ორ რეგისტრირებულ იპოთეკად.

37. კითხვა:

შეიძლება თუ არა ამ ცვლილების ამოქმედებამდე დადებული უძრავი ქონებით ან ავტოსატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხების ვადის გაგრძელება, ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გაზრდა, გარიგებაში პირთა ან სხვა პირობების შეცვლა (ცესია, ვალის გადაკისრება);

პასუხი:

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (გამოქვეყნების თარიღი: 07/08/2018) მე-2 მუხლის თანახმად, კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-3-მე-6 ნაწილების მოქმედება (უზრუნველყოფილ სესხთან დაკავშირებული სიახლეები) ვრცელდება მისი ამოქმედების შემდეგ რეგისტრირებულ იპოთეკასა და გირავნობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე, აგრეთვე,

ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული იპოთეკისა და გირავნობის უფლების ფარგლებში გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ნებისმიერი ფორმით გადავადების, რესტრუქტურირებისა და რეფინანსირების შემთხვევებზე, თუ სესხის/კრედიტის ნაშთი იზრდება. სესხის ნაშთის ზრდაში არ გაითვალისწინება სესხზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტების/საკომისიოების, პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის კაპიტალიზაცია. ცესიასთან მიმართებაში საყურადღებოა სსკ-ის 286-ე მუხლის დანაწესები, რომელიც ეხება ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეზე) გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნას.

მუხლი 624¹ . უზრუნველყოფილი სესხის/კრედიტის გაცემის წესი

უძრავი ქონებით ან/და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებით ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე წყლის, საჰაერო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხის/კრედიტის გაცემის შემთხვევაში სავალდებულოა გამსესხებელმა/კრედიტის გამცემმა მსესხებელს/კრედიტის მიმღებს ფულადი სახსრები გადასცეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

38. შეკითხვა:

საბანკო ჩეკით ანგარიშსწორება უნაღდო ანგარიშსწორებას წარმოადგენს?

პასუხი:

არა, საბანკო ჩეკით ანგარიშსწორება წარმოადგენს ნაღდი ანგარიშსწორების ფორმას.

39. შეკითხვა:

სესხის რესტრუქტურირება/რეფინანსირების დროს, როცა ხდება ახალი სესხის გაცემა და ამ სესხიდან მთლიანად ან ნაწილობრივ უკვე არსებული სესხის დაფარვა, ზემოაღნიშნული მუხლის მიზნებისთვის საჭიროა თუ არა ახალი სესხის თანხა მთლიანად საბანკო ანგარიშზე გადაირიცხოს?

პასუხი:

იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება მომხმარებლის მიმართ მოთხოვნის ზრდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შეუძლია არსებული დავალიანების რეფინანსირება/რესტრუქტურირება შიდა ანგარიშების გამოყენებით, საბანკო ანგარიშების გავლის გარეშე. მსგავსი შემთხვევები სეპ-ის მხრიდან განიხილება, როგორც უნაღდო ანგარიშსწორება.

მაგალითად, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მსესხებელთან შეთანხმებით გასცემს სესხს 1,500 ლარის ოდენობით. ამ სესხიდან 1,000 ლარით უნდა დაიფაროს არსებული სესხის ძირითადი თანხა, 200 ლარით კი ამ სესხზე დაკისრებული სხვადასხვა ფინანსური ხარჯი, ხოლო დანარჩენი 300 ლარი გაიცემა მსესხებელზე სამომხმარებლო მიზნებისათვის. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ 300 ლარი გადარიცხოს

მსესხებლის საბანკო ანგარიშზე, ხოლო ახალი სესხის გაცემის, ძველი სესხის და მასზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების დაფარვა კი განახორციელოს შიდა ანგარიშებზე გატარებებით.

მუხლი 505¹. გამყიდველის ვალდებულება განვადებით ნასყიდობისას

1. თუ გამყიდველი მეწარმეა, განვადებით ნასყიდობისას იგი ვალდებულია დაიცვას ამ კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები საპროცენტო განაკვეთთან, საკომისიოსთან, პირგასამტეხლოსთან და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის დაკისრებასთან დაკავშირებით.

2. განვადებით ნასყიდობისას გამყიდველის მიერ 100 000 (ასი ათას) ლარამდე ნივთის ფასის ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისაგან) მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.“

40. შეკითხვა:

ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე განვადება ეროვნულ ვალუტაში (100 000 ლარამდე) უნდა იყოს თუ ეს წესი ვრცელდება მხოლოდ ნასყიდობაზე;

პასუხი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 505¹ მუხლი ვრცელდება განვადებით ნასყიდობაზე, რომლის ცნება განმარტებულია კოდექსის 505-ე მუხლით, კერძოდ, განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე გადასცეს. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში.

41. შეკითხვა:

განვადებით ნასყიდობისას, როგორ დავიცვათ **625-ე** მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები საპროცენტო განაკვეთთან, საკომისიოსთან და პირგასამტეხლოსთან, სანქციებთან დაკავშირებით, როცა არ გვაქვს „სესხის თანხა“, „სესხის ნარჩენი ძირი??“ უნდა გამოვიდეთ ნასყიდობის თანხიდან და ნასყიდობის ნარჩენი თანხიდან?

პასუხი:

უნდა მიუდგეთ შინაარსობრივად, ანუ ნასყიდობის თანხიდან."

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დარეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებული კითხვები

42. შეკითხვა:

რა წესებით იქნება შესაძლებელი სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაცია 2019 წლის 1 იანვრიდან?

პასუხი:

მოცემულ ბმულზე შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებული „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი“ - <https://matsne.gov.ge/document/view/4334433?publication=0>

43. შეკითხვა:

2019 წლის 1 იანვრიდან შესაძლებელია თუ არა ფიზიკურ პირზე გაიცეს უზრუნველყოფილი სესხი არაუმეტეს 20-ისა?

პასუხი:

2019 წლის 1 იანვრიდან პირს ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშვათ იმ შემთხვევაში, თუ მის/მათ მიმართ 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება. უზრუნველყოფილი სესხის მიმართ კი გასათვალისწინებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებითა და 286-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილებით დადგენილი შეზღუდვები და გამონაკლისები.

44. შეკითხვა:

სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციისათვის არის თუ არა აუცილებელი ფიზიკური პირის მეწარმე სუბიექტად (ინდ. მეწარმედ ან შპს-ს დაფუძნება) რეგისტრაცია?

პასუხი:

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „37“ ქვეპუნქტის თანახმად, სესხის გამცემი სუბიექტი არის ნებისმიერი პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს) აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება. დამატებით, საყურადღებოა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განმარტავს, თუ რა არის სამეწარმეო საქმიანობა და როდისაა სავალდებულო მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირება.

45. შეკითხვა:

20-ე მეტი სესხი გაცემული უნდა იყოს მეწარმე სუბიექტის მიერ თუ ფიზიკური პირის მიერ?

პასუხი:

ნებისმიერი პირი, მათ შორის ფიზიკური პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს) აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება, ვალდებულია გაიაროს დარეგისტრირდეს საქართველოს ეროვნულ ბანკში სესხის გამცემ სუბიექტად და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები 2019 წლის 1 იანვრიდან.

46. შეკითხვა:

2019 წლის 1 იანვრიდან საჯარო წესით სად შეიძლება გადამოწმდეს სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის ფაქტი?

პასუხი:

დღეს არსებული პოზიციით, სესხის გამცემი სუბიექტების რეგისტრაციის ფაქტის გადამოწმება შესაძლებელი იქნება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

[მუხლი 34. ფულის ერთეული](#)

21. მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან / და მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან / და რეკლამირებისას ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით .

47. შეკითხვა:

ინვოისებსა და ხელშეკრულებებში დოლარის მითითება შესაძლებელია?

პასუხი:

აღნიშნული მუხლი არ ეხება პირთა მიერ სახელშეკრულებო ვალუტის ხელშეკრულებით განსაზღვრის შემთხვევას. თუ, ინვოისი წარმოადგენს რეკლამირების ან შეთავაზების ფორმას, მაშინ ორგანული კანონის 34-ე მუხლის შეზღუდვა გავრცელდება ასეთ ინვოისებზე. ხოლო, თუ ინვოისი წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს/მიწოდებული საქონლის/მომსახურების დამადასტურებელ დოკუმენტს, 34-ე მუხლის რეგულაცია მასზე არ გავრცელდება. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ გადახდის საშუალებას წარმოადგენს ლარი, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა და სეზ-ის მიერ დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევებისა.